ინტელექტუალური კონკურსი
„ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით გაიმართება ინტელექტუალური კონკურსი: „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ სტუდენტებს შორის.

- მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ტერიტორიასა და საზღვარგარეთ არსებული ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს;
- თითოეული გუნდი შედგება შვიდი ძირითადი და სამი სათადარიგო წევრისგან;
- თითოეულ გუნდს ჰყავს მხარდამჭერები (გულშემატკივრები), რომლებიც შეასრულებენ ქართულ ხალხურ სიმღერას, საგალობელსა და ქართულ ცეკვას;
- მხარდამჭერთა ჯგუფი ყალიბდება იმავე ფაკულტეტის სტუდენტთაგან, რომელთაგანაც დაკომპლექტებულია მოასპარეზე გუნდი.
- მხარდამჭერთა ჯგუფში არ უნდა შედიოდეს მოასპარეზე გუნდის წევრი.
- კონკურსი გაიმართება 5 ეტაპად:
    1. საფაკულტეტო;
    2. საუნივერსიტეტო (საინსტიტუტო);
    3. უმაღლეს სასწავლებლებს შორის;
    4. ნახევარფინალი;
    5. ფინალი
- კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადადის მხოლოდ გამარჯვებული გუნდი;
- თითოეულმა გუნდმა უნდა წარმოადგინოს განაცხადი, რომელშიც მითითებული იქნება:
    ა) გუნდის სახელწოდება;
    ბ) კაპიტნისა და გუნდის წევრთა სია;
    გ) გუნდის ხელმძღვანელის საკონტაქტო მონაცემები;
    დ) გულშემატკივართა მიერ შესასრულებელი საკონცერტო ნომრები;
    ე) 50 კითხვა-პასუხი (25 – ძველი და 25 – ახალი აღთქმიდან), თითოეულზე წყაროს მითითებით;

წყაროების მითითების მაგალითები: 1. (დაბ. 1;7); 2. (მთ. 3; 19); 3. (I მეფ. 5; 12) 4. (აპოკ. 4; 7) და ა.შ.

განაცხადები მიიღება საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში 2010 წლის 23 აპრილამდე 12 დან–18 საათამდე.

დაგვიანებული განაცხადების მიიღება შესაძლებელია 2010 წლის 30 აპრილამდე, ასეთ შემთხვევაში გუნდი ჯარიმდება -3 ქულით. არასრულყოფილი განაცხადები არ მიიღება.

ახალგაზრდული ცენტრის მისამართი: თბილისი, წმ. სამების საკათედრო ტაძარი.

კონკურსის დებულება იხილეთ ჟურნალ „ახალგაზრდობაში“; ვებ-გვერდზე: www.axalgazrdoba.ge
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე:

895 95 54 54 მაგდა მეშველიანი
895 30 05 16 გიორგი ფარეშიშვილი
E-mail: biblia@axalgazrdoba.ge